თსუ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს
2023 წლის 3 ნოემბერის სხდომის

ო ქ მ ი N 6

2023 წლის 30 ივნისს შედგა თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს II სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ სამეცნიერო საბჭოს წევრები, მთავარი მეცნიერი თანამშრომლები: **გიორგი ჭეიშვილი, ლავრენტი ჯანიაშვილი, მარიამ ჩხარტიშვილი, ავთანდილ სონღულაშვილი, როლანდ თოფჩიშვილი, ლიანა ბითაძე, ვახტანგ გოილაძე, ეკა კვაჭანტირაძე, ვაჟა კიკნაძე, ნიკოლოზ ჯავახიშვილი, ალექსანდრე დაუშვილი, სალომე ოქრუაშვილი.** საბჭოს სხდომას ესწრებოდა სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობის ნახევარზე მეტი (დანართი 1).

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც მათ წინასწარ ჰქონდათ ელექტრონულად გაგზავნილი:

1. ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორიაში მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადება და საკონკურსო კომისიის შექმნა.
2. სამეცნიერო პერსონალის 2023 წლის მუშაობის ანგარიშის წარდგენა.

ღია კენჭისყრის შედეგად, დღის წესრიგი ერთხმად იქნა მიღებული.

მოისმინეს:

1. ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორიაში მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადება და საკონკურსო კომისიის შექმნა.

ლავრენტი ჯანიაშვილმა სამეცნიერო საბჭოს აცნობა, რომ ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორიას დაემატა მეცნიერი თანამშრომლის 1 საშტატო ერთეული და უახლოეს პერიოდში გამოცხადდება კონკურსი აღნიშნული სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად. სამეცნიერო საბჭომ უნდა შექმნას საკონკურსო კომისია. მან საბჭოს წარუდგინა კომისიის წევრთა კანდიდატურები:

გოდერძი ნარიმანიშვილი - საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიური კვლევების ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის სამეცნიერო მიმართულების ხელმძღვანელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

ლიანა ბითაძე - ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი;
სალომე ოქრუაშვილი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათ დოქტორი.

გაიმართა მსჯელობა, **აზრი გამოთქვეს:** ლავრენტი ჯანიაშვილმა, როლანდ თოფჩიშვილმა, ავთანდილ სონღულაშვილმა, მარიამ ჩხარტიშვილმა და სხვა.

ჩატარდა ღია კენჭისყრა: **მომხრე - 12 წინააღმდეგი - 0 თავი შეიკავა - 0**.

დაადგინეს: შეიქმნას საკონკურსო კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით.

ლავრენტი ჯანიაშვილმა კომისიის თავმდომარედ წამოაყენა გოდერძი ნარიმანიშვილის კანდიდატურა; კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ - ლიანა ბითაძის კანდიდატურა; კომისიის მდივნად - სალომე ოქრუაშვილის კანდიდატურა.

ჩატარდა ღია კენჭისყრა: **მომხრე - 12 წინააღმდეგი - 0 თავი შეიკავა - 0**.

დაადგინეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნას გოდერძი ნარიმანიშვილი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ - ლიანა ბითაძე, კომისიის მდივნად - სალომე ოქრუაშვილი და ეცნობოს თსუ-ს ადმინისტრაციას შემდგომი მსვლელობისათვის.

მოისმინეს:

2. სამეცნიერო პერსონალის 2023 წლის მუშაობის ანგარიშის წარდგენა.

ლავრენტი ჯანიაშვილმა სხდომაზე განიხილა ინსტიტუტის თანამშომელთა მიმდინარე წლის გეგმით გათვალისწინებული სამეცნიერო საქმიანობა და გამოთქვა მოსაზრება, რომ სამეცნიერო პერსონალმა წლიური ანგარიშები წარმოადგინოს ა/წ დეკემბრის ბოლოს, ხოლო დასრულებული წლიური თემების ელექტრონული ვერსიები 2024 წლის 21 იანვრამდე.

ჩატარდა ღია კენჭისყრა: **მომხრე - 12 წინააღმდეგი - 0 თავი შეიკავა - 0**.

სხდომამ დაადგინა:

1. შეიქმნას სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის – ივანე

ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში მეცნიერი თანამშრომლის სამსახურში მისაღებად საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

გოდერძი ნარიმანიშვილი - კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიური კვლევების ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის სამეცნიერო მიმართულების ხელმძღვანელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

ლიანა ბითაძე - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი;

სალომე ოქრუაშვილი - კომისიის მდივანი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათ დოქტორი.

და ეცნობოს თსუ-ს ადმინისტრაციას შემდგომი მსვლელობისათვის.

2. ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალმა 2023 წლის სამეცნიერო მუშაობის ანგარიში ინსტიტუტის კანცელარიაში წარადგინოს მიმდინარე წლის დეკემბრის ბოლოს, ხოლო დასრულებული წლიური თემების ელექტრონული ვერსიები - 2024 წლის 21 იანვრამდე.

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე: **ლავრენტი ჯანიაშვილი**

საბჭოს მდივანი: **ლიანა ბითაძე**

03. 11. 2023

დანართი 1

თსუ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა
და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო
საბჭოს 2023 წლის 3 ნოემბრის სხდომას
ესწრებოდნენ მთავარი მეცნიერი
თანამშრომლები:

გიორგი ჭეიშვილი

ლევან გორდეზიანი

მარიამ ჩხარტიშვილი

ავთანდილ სონღულაშვილი

ქეთევან ხუციშვილი

როლანდ თოფჩიშვილი

ლიანა ბითაძე

გიორგი ქავთარაძე

ვახტანგ გოილაძე

ეკა კვაჭანტირაძე

ვაჟა კიკნაძე

ელდარ ბუბულაშვილი

ნიკოლოზ ჯავახიშვილი

ნინო მინდაძე

ხათუნა იოსელიანი

სალომე ოქრუაშვილი

ლავრენტი ჯანაშვილი

ალექსანდრე დაუშვილი